

მაღალმთის კლიმატური სტრეს ფაქტორები

თამარ ჯოლოხავა

E-mail: tamarjolokhava@yahoo.co.uk

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია“
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თბილისი, 0179, საქართველო

„ტყის ზედა საზღვარი“ შუალედური მნიშვნელობისაა და აღნიშნავს ზოლს, რომელიც აერთიანებს ტყის ყველაზე მაღლა განლაგებულ უბნებს. მაღალმთის ბიომები, განსაკუთრებით მისი ზედა საზღვრები ერთერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ექსტრემალურ სასიცოცხლო პირობებთან მცენარეთა ადაპტაციური მექანიზმების შესწავლისათვის. მაღალმთის ეკოსისტემები, რომლებიც სიცოცხლისათვის არახელსაყრელი პირობებით ხასიათდებიან ნორმალურად ფუნქციონირებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ცალკეული სახეობები და მცენარეული თანასაზოგადოებები შეგუებულნი არიან ასეთ ექსტრემალურ პირობებს. ყველა ეკოლოგიური ადაპტაციის საფუძველი ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მექანიზმია. სტრესი არ უნდა მივიჩნიოთ როგორც უარყოფითი მოვლენა, გარკვეულ დონემდე სტრესი მცენარის და არა მხოლოდ მცენარის სიცოცხლის მნიშვნელოვანი კომპონენტია ის შიცავს როგორც დესტრუქციულ ასევე კონსტრუქციულ ელემენტებს არის როგორც სელექციური ფილტრი, მამოძრავებელი ძალა, გაუმჯობესებული მდგრადობის და ადაპტაციური ევოლუციის. ნაშრომი განიხილავს სტრესს, რომელიც იწვევს არსებული ქსოვილის დაზიანებას (დესტრუქციული სტრესი) და ახალი ქსოვილის წარმოქმნის შეზღუდვას. ამგვარად, ზრდის ყველა თანდათანობითი შეზღუდვა, რომელიც „სუბოპტიმალურ“ კატეგორიას განეკუთვნება, ისევე როგორც ბიოტური ურთიერთქმედება, როგორცაა სინათლისა და ნიადაგის რესურსებისათვის კონკურენცია, არ იქნება მიკუთვნებული „სტრესის გამოწვევ“ კატეგორიისადმი.